სსიპ

საქართველოს ტექნიკური

უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

09. 12. 2015 №244

თბილისი

ბაკალავრიატის სტუდენტთათვის

სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნის წესის

განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“პროგრამის დამტკიცების შესახებ“ 2015 წლის 13 ნოემბრის №1214 ბრძანების საფუძველზე და სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 4 დეკემბერი №1827 დადგენილების შესაბამისად სტუ-ს ბაკალავრიატის სტუდენტთათვის აღნიშნული სტიპენდიის დანიშვნის წესის განსაზღვრის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. სტუ-ს ბაკალავრიატის სწავლების II, III და IV წლის საუკეთესო რეიტინგის მქონე სტუდენტებს ამ ბრძანებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად დაენიშნოთ 150-ლარიანი სახელმწიფო სტიპენდია 2015 წლის პირველი ოქტომბრიდან 2016 წლის პირველ იანვრამდე 3 კალენდარული თვის განმავლობაში;
2. სახელმწიფო სტიპენდიანტების შერჩევა მოხდეს წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიების მიერ;
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სწავლების II, III და IV წლის სტუდენტებს, რომლებსაც 2014–2015 სასწავლო წლის ზაფხულის სესიების შედეგების მიხედვით (სტუ-ს რექტორის 2015 წლის 06 თებერვლის N16 ბრძანებით განსაზღვრულ საგამოცდო სასესიო ვადებში – 2015 წლის 29 ივნისიდან 14 ივლისის ჩათვლით) აქვთ მაღალი რეიტინგი, არანაკლებ 81%-ისა, შეიძლება დაენიშნოთ სახელმწიფო სტიპენდია;
4. სახელმწიფო სტიპენდიანტთა შერჩევისას ფაკულტეტისათვის განსაზღვრული კვოტის ფარგლებში, თანაბარი რეიტინგის დროს, გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტის მონაწილეობა კონფერენციებში და სხვ. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საკონკურსო კომისია;
5. თუ რომელიმე ფაკულტეტზე ამ ბრძანებით გათვალისწინებული კრიტერიუმების დაუკმაყოფილებლობის გამო გაუნაწილებელი დარჩა სტიპენდიები, ისინი გადაეცემა

6. ამ ბრძანების შესაბამისად სტიპენდიანტთა რაოდენობის განსაზღვრა მოხდეს ფაკულტეტებზე ბაკალავრიატის სტუდენტთა კონტინგენტის პროცენტული წილის შესაბამისად, სტუ-ს ბაკალავრიატის სტუდენტთა ჯამური რაოდენობიდან;
   - სამშენებლო ფაკულტეტი – 77 სტუდენტი;
   - ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი – 88 სტუდენტი;
   - სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი – 39 სტუდენტი;
   - ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი – 46 სტუდენტი;
   - სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი –80 სტუდენტი;
   - არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი – 30 სტუდენტი;
   - ბიზნეს ინჟინერინგის ფაკულტეტი – 171 სტუდენტი;
   - ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი – 133 სტუდენტი;
   - დიზაინის საერთაშორისო სკოლა - 3 სტუდენტი
   - აგრარული მეცნიერებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულკტეტი - 39 სტუდენტი
7. სტიპენდიანტთა შერჩევის შედეგები გამოიკრას შესაბამის ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე;
8. ფაკულტეტების საკონკურსო კომისიების წარდგინების საფუძველზე მომზადდება და გამოიცემა რექტორის ბრძანება სახელმწიფო სტიპენდიების დანიშვნის თაობაზე;
9. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში და ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე;
10. ბრძანებაზე კონტროლი დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი.ლომიძეს

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზები:

ვიცე რექტორი

ლ.კლიმიაშვილი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ქ. ქოქრაშვილი

სწავლების დეპარტამენტის

უფროსი *ი. ლომიძე*

იურიდიული დეპარტამენტის

უფროსი *ბ.მაისურაძე*

2015-2016 სასწავლო წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში სტუ-ს ბაკალავრატის წარჩინებული სტუდენტებისათვის სახელმწიფო სტიპენდიანტთა შერჩევის წესი.

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 13 დეკემბრის N1214 ბრძანებით სტუ-ს ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის 2015 წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო 706 სტიპენდია განაწილდეს ფაკულტეტებზე ბაკალავრიატის სტუდენტთა კონტინგენტის პროცენტული წილის პროპორციულად, სტუ-ს ბაკალავრიატის სტუდენტთა ჯამური რაოდენობიდან;
2. სახელმწიფო სტიპენდია დაინიშნოს 2014-2015 სასწავლო წლის ზაფხულის სესიების შედეგების მიხედვით;
3. ფაკულტეტებზე, დეკანის ბრძანებით შეიქმნას საკონკურსო კომისია სახელმწიფო სტიპენდიანტთა შერჩევის კრიტერიუმების შესამუშავებლად და სახელმწიფო სტიპენდიანტთა შესარჩევად, რომლებიც იხელმძღვანელებს შემდეგით:

   - სახელმწიფო სტიპენდია დაენიშნება ბაკალავრიატის სწავლების II, III და IV წლის, იმ სტუდენტებს, რომელთა აკადემიური მოსწრება შეადგენს 81% და მეტს;

   - სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნისას ფაკულტეტებისათვის განსაზღვრული კვოტის ფარგლებში თანაბარი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტის მონაწილეობა სტუდენტურ კონფერენციებში და სხვა აქტივობები; ასეთ შემთხვევებში საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საკონკურსო კომისია;

4. რომელიმე ფაკულტეტზე, ამ წესის მე–3 პუნქტში მითითებული აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების არასაკმარისი რაოდენობის შემთხვევაში, გაუნაწილებელი სტიპენდიები პროპორციულად გადანაწილდეს იმ ფაკულტეტებზე, სადაც სწავლობენ მათთვის დადგენილ კვოტებზე მეტი რაოდენობის საკმარისი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტები.

5. ფაკულტეტის საკონკურსო კომისიების წარდგინების საფუძველზე გამოიცეს რექტორის ბრძანება სახელმწიფო სტიპენდიების დანიშვნის თაობაზე.